38
1916 /3
1905
344

№ 35—1916 ფასი
ქვირა, 28 მარიამ. 12 კაპ.

ქურნალი „თეატრი და ცხოვრება“
წლიურად 5 მ, ნახევარი წლით 3 მ. გაწერა შეიძლება ფოსტით: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“
Іос. Имедашвили. პირისპირ: „ხორავანი“ ს. სტამბაში.

წელ. ბეჭდვა
გამოცემისა



მ-მღერალი ვანო სარაჯიშვილი
მისი ბენეფისის გამო მარიამობისთვის 30
„ხარფუხის კლუბში“ 31 „ახალ კლუბში“

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამობისთვის 28

სეზონის მოლოდინში. სანამდის ქვა მოჯდებაო—ჩემი ფეტვიც მორჩებაო,— უთხრა ძველაფქვავე გლეხმა მეწისქვილეს, როდესაც ამ უანასკნელმა მისი ერთი ლიტრა ფეტვი დააყარა ახლად მოკოდილ ქვას და ქვის აწევა-დაწევაში ნაფქვავი გააუბარაქოვა.

გლეხმა დროით მოიფხანა კისერი, მაგრამ ჩვენი დრამატიული ხელოვნების უსტაბაშნიკი თვისზე მინდობილ საქმეს ისე სუბუქად უყურებენ, რომ ლამის არის საკუთარი თეატრის აშენებისა და უკეთეს პირობათა მოლოდინში ხელოვნება იგი არა თუ აღორძინდეს, განვითარდეს, გაძლიერდეს, არამედ—გაცამტვერდეს...

უცხო ერთა დასნი ქართულ თეატრის მაყურებელს ელვის სისწრაფით იტაცებენ,— ჩვენი დრამატიულ საქმის მესვეურნი-კი გულს იმით იმშვიდებენ, რომ... აქა-იქ კლუბში წარმოდგენები იმართება და საზამთროდ ამხანაგობავე იკისრებს სეზონის წარმოებას,—ასე იქნება ვიდრე საკუთარ თეატრს ავაშენებდეთო...

—აცა, ნუ მოჯდები, მალე გზაფხული მოვაო,!—სწორედ ამას მთგვაგონებენ ეს ბატონები და თითქმის არც კი ფიქრობენ, რომ ვიდრე ჩვენი სათეატრო დარბაზი აშენდებოდეს, ვინ იცის რავდენი კოკა წყალი ჩაივლის და ჩვენი სასცენო ხელოვნებაც გადაგვარდება...

მსახიობთ მივანდოთ ამხანაგობის შედგენაო!—რა თქმა უნდა, როდესაც საქმეს მზიუნველი არ უჩანს, მაშინ თვით მსახიობნი ითავებენ საქმეს—და უმეტესად სათავისო დასს შეადგენენ, ისეთ დასს, რომელშიაც ერთს ან ორს მეთაურს ექნება უპირატესობა და, შესაძლებელია ბევრი სასარგებლო ძალა დასის გარეშეც დარჩეს,—მაგრამ როდესაც დრამატიულ საზ-ის გამგეობა მაინც თვის ხელ აწვდის ამხანაგობას და თვის „იაოლიკს“ აკრავს, მაშინ ისეთი დასი უნდა შესდგეს, რომ უცხო დასებს თუ არ გაუსწრეს, არ ჩამოუვარდეს მაინც...

უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენი სათეატრო ხელოვნება ძალზე ჩამოქვეითდა, ჩამოქვეითდა მაშინ, როდესაც ღირსეული და ნიჭიერი ძალნი მოგვეპოვებიან,— ოღონდ დაქს ქსულან,—და მთელი ჩვენი „ფრმატაუდი ხელოვნება“ ორიოდე კაცის სინაბარა ორიოდე გადაღეჭილი ვოდევილის საშუალებით მიდოდავს...

ნუ თუ კიდევ იმის მტკიცებაა საჭირო, რაც ყოველმა შეგნებულმა ქართველმა „ცის“, რომ ქართული თეატრი უდიდესი და უპირველესი იარაღია ჩვენის გათვითცნობიერებისა?

მაშ ასე მეცამეტე გოქვითთ აბუჩად რა ვეპყრობითთ?

ამას წინად კომისიას მანდეს საქმეს მოგვარება. რა ისაქმა კომისიამ, რას ფიქრობს გამგეობა, დასი შესდგა თუ არა?

დრო კი მიჰქრის და სხვები რო სეზონს გაჩაღებენ, მაყურებელ საზოგადოებას მიიბრიებენ, მაშინ თუ გვ-ღირსება თვალის მოსაჩვენებლად გადაღეჭილ პიესების „წარმოდგენა,“ ისიც მოუმზადებლივ, ნაჩქარევად...

როდემდის, როდემდის ასე?

ნუ თუ ერთხელაც არის ჩვენს თეატრს ნამდვილი გულშემატკივარი, შემომქმედი მოსაქმე, საკუთრივ ამ საქმეზე თავდადებული გმირი არ გამოუჩნდება?!

საჭიროა გაბედული ნაბიჯის გადადგმა, საქმის დროით პატრონობა, თორემ სანამდისინ ქვა მოჯდება—ჩვენი ფეტვიც გათავდება...

სასცენო სტუდია. ძნება მოიწადინეს, ვარიაგებს შეუთვალეს: ჩვენი ქვეყანა მდიდარია, მაგრამ უწესო, ბოდით და ჩვენ შორის წესრიგი შეიმოიღეთო.

სწორედ ასევე გვეპარეთება ჩვენც: მაშინ, როდესაც ჩვენი ნიჭიერი შვილნი უცხოთა სცენას ამშვენებენ და ხელმძღვანელობენ, თვითონ ჩვენ უცხოთა სახელმძღვანელოდ ვხდებითთ...

და გაუმარჯოს ასენს უცხოს, რომელიც ჩვენს სასიკეთოდ ხელს გასძრავს წმინდის გულით.

ერთი ასეთი უცხოთ-განია მოსკოვის სამხატვრო თეატრის ცნობილი მსახიობი ს. ნ. ვორონოვი, ჩვენებური სიტე (ვანო როსტომაშვილის ასულის ბაბოს მეუღლე), რომელსაც განუზრახავს ჩვენში სასცენო სტუდია

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ფუძნოს საკუთარი ხელმძღვანელობითა და ...ბილ პირთა ღახმარებით, ბ-ნი ვორონოვი ...ანი და ნიჭიერი მსახიობია, მოსკოვის სა...ერო თეატრის სკოლის მიმდევარი, რო...ელ ც გასულ წელს სახალხო სახლში სარე...ორი მუშობით თავი ისახელა...

ასეთი სკოლა—სასცენო ხელოვნების ...წავლებელი—დიდიაც საჭიროა, თუ ის სა...ველ ნიადაგზე იქმნა დამყარებული. სა...ი ვორონოვისა იმის თავდებია, რომ ხსე...ული სტუდია სათანადო დონეზე იქმნება ...ღარი. ამიტომ სასურველია ჩვენმა ახალ...ოდმამ, ქალებმა და ვაჟებმა, რომელთაც ...ობლო სცენაზე სამსახური ჰსურთ აქ მი...ნ პირველდაწყებითი სასცენო მომზადება. ...ვუსურვებთ ბ-ნს ვორონოვს თავისი კე...ი განზრახვა სასახელოდ დაეგვირგვინე...ს.

მწერალი დავ. ნახუცრიშვილი

მისი ავადმყოფობის გამო.

* *
*

...ოესო თანი მოთმინებისა,
...ბრად ვაებამ დადარა გული,
...ბარდვიქ.ც ძალად გმობის, წყევისა
...და ბრძოლად მიწვევს ამაყი სული...

...ადე, აღინთე გარდაქმნის ცეცხლო,
...დასწკი, დასდაგე ქვეყანა ძველი,
...ფერფლად აქციე ბნელეთის კოშკი,
...გაალმტვერე ძალა მტანჯველი!..

...ადე, დავიწვა მეც შენს კოცონში,
...ამა, იმსხვერპლე სიცოცხლე ჩემი,
...ოლონდ აღსრულდეს ჩემი ოცნება —
...ოლონდ შთაინთქას ბნელეთის გემი!...

ხ ვარდოშვილი.

სულის ლეგენდები

სამარადისო ძიება.

1

ეს იყო მაშინ, როს უ'ხეული სული მი...ი კაბ დონიდან კაბადონამდე ლაღ-და ჭკრო...და... უსაზღვრო იყო გზა მისი და სიარული უმალესი მზისა სხივისა...

მან არ იცოდა არც დაღლილობა არც მკმუნვარება ....

უკვდავ სიცილში ყველას ფარავდა .. მის უ'ახო სახეს ემონებოდა სიმრგვლე ცისა,.

მკმუნვარებით დაღლილ დაქანცულის მიწას შეშურდა მის უსახურის ლაღი სიცი...ილი... დაჰკრა გესლმა.. ვეღარ გაუძღო გუ...ლს მოწოლილს შავს სევდა-ვარამსა ..

შურის თვალებით იწყო მუდმივი კბილის ღრჭიალი...

ბნელის მარჯვენით მოჰზიდა შვილდი და თეთრი სულის თეთრი გული ბნელეთის ისრით შავად დაჭკოდა .. და სისხლი ისრით ჩამომ-დინარი მიწამ დალია... და გაიგრილა მხუ...რვალე გული,—ლაღი სიცილი უკვდავი სუ...ლის ჰაერს შეჰრია....

და გაჩნდა სახე უსახუ'ისგან...
სახელი მისი, ქვეყნად, კაცია.

ნიშნად ზეციურ უკვდავებისა კაცს დარ-ჩენია ტლანქი ოცნება - აჩრდილი მშობელ უშობ სულისა....

2

..... და დაიბადა ადამიანი აწ შემაერთი ...ცის და მიწისა. მას არა ხიბლავს არც მზის სიცილი, არც მთვარის შუქი უქრობს მას ნა-ღველს...

მის თანამგზავრი მკმუნვარება ტირილია.

მისი სიცილი ღრუბლიან ღილის ღამის მსგავსია .

ყნოსვა ჰაერის უსხეულო მოკუსკუსე სუ-ლით ნარევს,—აგონებს წარსულს, სიზმარი-ვით სადღა) ზეცაში მარად მღერაში და სია-მეში წუთიერ განვლილს. მისი ოცნება მუდამ მფრენია...

მაღლა მფრინავი—მზე ნათელია.. სხე-ული მისი ტანჯვად ნაქცევი—მიწის რკალია.

ოჰ! საბრალოა ადამიანი: მუდამ ამ ტან-ჯვის მეღმარია და გამქრალი სულის მაძე-ბარი ..

ბ. გორდეზიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გიღალატე... მაპატიე"!

ის იყო მეტად მშვიდი, მორცხვი, სათნო, პატიოსანი. იყო ლამაზი, კარგი, ტანადი... მთელ მეზობლობას მოსწონდა, უყვარდა... იმაზედ არავინ ცუდს, უკადრს არას იტყოდა... ისიც ყველასათვის კეთილი და პატივცემული იყო.

ყველა ამ ღირსებისათვის მოიწონა ის ერთმა პატიოსნობით ქებულმა ვაჟმა, შეიყვარა და ჯვარიც დაიწერა.

ის ერთის წლის შერთული ჰყავდა ქმარს.

... და მას ერთი მეზობლის ქალიკა გაუარ იყდა... ქალიკა ხშირად, სულ ხშირად მიდიოდა ქალისას, როცა ქმარი შინ არ ეგულებოდა... და ეარშიყებოდა... ეარშიყებოდა...

ის არშიყობას გამოსთქვამდა უმეტესად უსმოდ, უსიტყვოდ. სხეულის ყოველგვარი მოძრაობით გამოსთქვამდა ის არშიყობას. ყოველგვარ მიხვრა-მოხვრაში ის არშიყობას ჭგულისსმობდა...

და ქალსაც არ გამოეპარებოდა, კარგად ესმოდა იმისი ღელვილი სულის სწრაფვა... ცეცხლთა დება...

ქალს იგი მოსწონდა მხოლოდ გარეგნობით. მაგრამ ყოველთვის კი თავს იკერდა და ვაჟის უსიტყვო თხოვნას უსიტყვოდვე უპასუხებდა,—ისე, როგორც შე ჰფერის პატიოსნობისა და ქმრის ერთგულების დამცველ ქალს.

. .და ერთ ღამეს, ქმარი რო შინ არ ჰყავდა, მისს საწოლთან, კედელს გარედან მთელი ღამის განმავლობაში მოემოდა კაკუნი, კაკუნი თავხედი მოარშიყესა... მაგრამ არა!.. ნამდვილად კი არა... ეს იყო ხ-ლოდ ღელვილი სულის აუსრულებელი ნდომა..

და ეს მეორე ღამესაც განმეორ და... „ნეტავი მართლაც«!.. გაიფიქრა მან და გაჰყვა ფიქრებს... მტანჯავ ფიქრებს..

და მესამე ღამესაც მოესმა ქალს კაკუნი... „ნეტ ვი მართალ«!.. და კარი მოწეულ იქმნა... და შიგ შემოვიდა სხვაგნით დაბრუნებული ქმარი.

აკანკალებული, სირცხვილისაგან გაბრუებული ქალი დაეცა მუხლებზე ქმრის წინაშე და თრთოლვით წარმოსთქვა:

— გი...ღა...ლა...ტე... მა...პა...ტი...ე!.

გიორგი ლომთათიძე

სახალხო მუშაკნი



სიმონ ამბაკოსძე ზაქარეიშვილი.

მიმდინარე წლის მარტიმობისთვის 26 შესრულდა ერთი წელიწადი, რაც კარლიანტყდა სიმონ ამბაკოსძე ზაქარეიშვილი. განსვენებული ერთი ამ ზარიანი იყო, რომელთაც სიძლიერეს ჩაუყარეს საქართველოს განმანთავისუფლებელ მოძრაობას. სიმონი მხურვალე მონაწილეობას იღებდა მუშათა ბრიოფესიონალურ კავშირების დაარსებაში; მან მოაწყო, სხვათა შორის, ობიდანის მეკერფლთა ბრიოფესიონალური კავშირი და ხშირად წერილებსა ბეჭდავდა „ოფუფ კვირეულ ფურნალ „ახალ ქვეყანაში", მუშა—სიდიის ფსევდონიმით. თავისი ცხოვრების უკანასკნელს დროს სხვა და სხვა ბრიბებში იმყოფებული განდევნ, გადასხლებულიყო სადგურ ბალაჯარაში, სადაც ითვლებოდა ბაქოს ქარხანულ სამხატვრო სადატვრატურო წრის ბალაჯარის განყოფილების მუდმივ თავჯდომარედ. სიმონ ზაქარეიშვილი თავგანდგომილ ემსახურებოდა ბალაჯარის ქარხანულ წარმოდგენების სკენის და დიდი ხელისათ ასრულებდა მაკონსულის მოვალეობას. ერთ დროს სიმონმა შეადგინა სტენის მოეკარეთა ჯგუფი, რომელის მიზანი იყო სრულად წარმოდგენების განმარგა. მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა ადარ დაუტოვა სიმონს დაეგეთა თავისი დაწყებული საქმე და ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას, 32 წლის ჭაბუკს, სამუდამოთ დაუხუჭა თვალები.

სამუდამოდ იყოს ხსენება შენი ძვირფასო სიმონ! შენი სასელი წაუშლელი დარჩება მათ გულში, ვინც შენ გიგნობდა და ვის დასწოლინარებლადაც გულწრფელად იდგოდი. **ნარი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა-ფშაველა სიყვარულეში

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც." № 31)

მეორე დიდი ხის ტოტებითა, ბარათა და ბუნებით გაფენილიყო ეზოს. ზევით ერთად თოფ-ხეს ეფერა მაესწავლებელი იყო. დიდი სანა-ბობა იყო. კაზარმების რიგ ეფერეო, ჯარის უფ-როსმა დაგვიბარა. გამოგვეხმაურა და ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისოვის გაკვეთილი მისტეს. სკვნი გაკვეთილისა იქნება „კაკლია“—მისი გარეგნობისა და ტხოვრების ადგილს; დიდსნს სიხეშე სუფეფლ: ეტეთობდა არავის უნდოდა, ეს მძიმე საქმე ეკისრნა... უეცრივ უკანდგან ხმა მოგვესმა: „მე ვთობ მაგ გაკვეთილის შემუშავებასა“. ეფეფლნი ტქერთო გადავიქეცით და დავრწმუნდით, რომ ეს ხმა ვაკა-თშავლას ხმა იოო... დირექტორმა გაიდიმა, ზვენ სიცილი აგვიტეფლ, არ ვიცოდით კი რაზე... ვაკამ იწუნა ეს, გაკვეთილი და წინ წაიმოდგა, რომ უარი სთქვას გაკვეთილის მიცემაზედ, მაგრამ დირექტორის ადგილსანმა და თავეზანმა დაპარაკმა ეფეფლფერი მოაწესრიგა და ვაკამ უკან ადარ წაიდო თავისი წინადადება, თუმცა კი ქართულად რადაც წაიბუტბუტა და ვიდასც შეუტანიო დავმუქრა. დირექტორი რომ წავიდა, მაშინ ეფეფლფერი გამოაშუარავდა—რაშიაც იოო საქმე: თურმე ვიდასც ვაკასთვის „კაკლიების უსტაბაში“ დაგძახნია და ესაც ამიზედ კანრისხებიდა. ვაკასთან დაახლოებულნი ამხანაგები ჩაკვრიენით ამ ინტიდენტში და საქმე მორიგებით გაკეთდა ეფეფ. კაჩუშვა იგი, განრისხების დრუბდები გადაეფარა მის მადლიან შუბლს.

ალექ ნათაძე

(დასასრული იქნება)

მელანქოლია

(დასასრული. იხ. „თ. და ც.“ № 34)

ბალი კი ამერელებულია ფერადი ტანსაცმელებით—მხიარულად დასეირნობს ყველა...

„აგერ ორი ჩასუქებული კაცი მოდის... ძძიმეთ სუნთქავენ, თამბაქოს აბოლებენ და საუბრობენ... ხანდისხან კი გადახედავენ შორი-ახლო მიმავალ ქალს, მაგრამ ამა რას დაუშლის ეს გადახედვა მეგობრულ ლაპარაკს...

— ჰო და ამ ზაფხულზე მე აქ წამ-სვლა ვარჩიე. შედარებით აქ უფრო მოვეწყვები—ტკბილის გზა არის, ზღვა, ჰაერი—დისვენებ კაცი.

— რასაკვირველია,—ეუბნება მეორე—დროს მშვენივრად გავატარებთ... და მრავალ ბნიშვნელოვანად გადასცქერის უცნობ ქალს რომელიც ხახლა მათ გასწვრივ მიდის

— არა, ბატონო, აიღეთ ფიზიკა დ. დაკვირვებით გადაიკითხეთ, თუ რა სწერია. შეგ. არ იცი მეთქი, რომ გეუბნები ის არის მე თუმცა დიდი ხანია გიმნაზია გავათავე, მაგრამ არქიმედის კანონი მაინც მახსოვს—ეუბნება ახალგაზდა ქალი გვერდით მიმავალ გიმნაზიელს.

— აბა სხვა მკითხეთ, თუ არ ვიცი... ეს მგონი ჩვენს წიგნში არ სწერია, როგორც მახსოვს. .

— ნიუტონის კანონი? . და ქალი თავლებში აცქერდება ყმაწვილს, რომელიც თავს დაბლა ხრის და ნელნელა მიყვება ფიზიკას მცოდნე ცირას...

— რა მშვენიერებაა... ეუბნება ახალგაზდა ქალი ვიღაც სტუდენტს...

მშვენიერებაა, მაშ, მშვენიერებაა, ოცნებაა აქ ყველაფერი და შენ კი დაჯექი ამ ბნელ კუთხეში და იფიქრე რაღაც ცხოვრების შინაარსზედ ამ გვარ სისულელეზე,—გულმოსულათ ჩამძახის ვიღაცა.

— დიახ ,დიახ, უნდა იფიქრო მაშ... უნდ დაკვირდე ამ ხალხს, თუ რათი ცხოვრობს ის **რა ინტერესებს, უნდა გაიგო მაღლიდან...** უნდა ამაღლდე ცხოვრებაზე და ობიექტიურათ შეხედო ყველაფერს... აბა!—ამბობს მეორე ხმა

მელანქოლია... მელანქოლია...

ოხო, ამ ორ ჩასუქებულ კაცს აკი გაუცვნიათ ის ქალი მ.ი წინ რომ მიდიოდა. ორივეს კმაყოფილება ეტყობა სახეზე, ცოცხლათ ლაპარაკობენ...

— როგორ გეკადრებათ?—ამბობს ერთი—ღამის ათ საათზე ცურაობას რა სჯობია, ჩვენ ყოველთვის ათზე ან ცხრა საათზე ვცურაობ ბელი ხოლმე... შარშან აქ ჯახობა მუ ვდ—ათ საათზე ვცურაობდით ყოველ დღე.. მშვენიერი წყალია...

— საინტერესოა—ღიმილით უპასუხებს ქალი—მე კი არ მეგონა, თუ აქ ღამის ათ საათზე შეიძლება ცურაობა...

— სად შეიძლება იცურაოს კაცმა?—გაანგარიშობს ის ცოტა ხნის ხიჩუმის შემდეგ—მეც ვიცურავებდი, თუმცა ძალიან მეშინია...

— რას ბრძანებთ? ერთ ხმად იკვირვებენ

ყაცები:—ჩვენ იქ არ ვიქნებით. . ესე იგი ჩვენ იქვე ახლო ვცურაობთ გადახურულში...

— ხა, ხა, ხა. ხა! ღამის ათ საათზე. . მაშ ასე და ასე ამ საღამოს ათ საათზე იცურავებთ არა?... ჰო, კაი საცურაოა ათ საათზე, რა ბაპერის... არც სიცხე დასწვავს თქვენს ნაზ ტანს!.. ნეტა რას ფიქრობს ზღვა ათ საათზე ცურაობის შესახებ.. ჯერ ძალიან წყნარად ყარის: ალბად მიეჩვია ათ საათზე მოცურავე ბალხს.. ხა. ხა. ხა!..

აი, აგერ სტუდენტი და ახალგაზდა ქალი.

— მართალი უნდა ვსთქვა მე ბუნება არ მიყვარს,—ამბობს სტუდენტი.

— როგორ?! განცვიფრებით ეკითხება ქალი.

— ბუნება ჩვენ პირველყოფილ მდგომარეობას გვიახლოვებს და...

— Что вы говорите, Яша,—это дико. ბუნება სიცოცხლეა ჩვენი, სილამაზე, მშვენიერება... ის დიფარული აზრია ჩვენი ცხოვრების,— აღელვებით ეკამათება იაშას ქალი...

— ფილოსოფიური მსჯელობაა... „დიფარული აზრი“... დიახ, ყმაწვილო ბევრს რასმეს ნიშნავს „დიფარული აზრი“ ეი თქვენი ჩაკიდებული ხელები ეხლა დიფარული აზრით ლაპარაკობენ, თუმცა თქვენ ენა სულ შორს არის ამ „დიფარული აზრისაგან“. . ხე, ხე, ხე.

— და განა ამ ხალხში ყველა დიფარული აზრით არ ლაპარაკობს... არც ერთი იმას არ ამბობს, რაც გულში აქვს. ბევრ კარგ და ლამაზ სიტყვას ამბობს აქ ენა, მაგრამ გული სულ სხვას გიიძახის; აქ ყველა ატყუებს ერთი მეორეს, რადგან აქ გამოფენაა და საქონლის გარეგნობას ხომ მეტი ფასი აქვს...

— ქალბატონო, ცხვირსახოცი დაგეკარგათ,—ეძახის ქალს მოხუცი მებაღე, რომელიც თავის დაკოერებული თითებით ისე აშორებს ბალახს ნაზ ყვავილებს. რომ თითქმის სრულიად არ ანძრევს მათ.

— გმადლობთ, ბაბუა,—ეძახის ქალი და ისევ მიყვება ახალგაზდა სტუდენტს, რომელიც განაგრძობს მტკიცებას ბუნების ცუდ გავლენაზე.

აგერ მუშები ჩამოჯდენ.. როგორი თვალით უყურებენ მათ... რათ არ წავლენ ნეტავი ამ ბაღიდან, როგორი დისონანსი შემოაქვთ მათ აქ... ჯერ სპარსულ ხალიჩას რომ უფერული ტალახის ლაქა დააცხო, ისე არიან ამ ბაღში... ამა კითხეთ ამ ხანში შესულ ქალს, რომელიც მხოლოდ რაღაც ჯობზე წამოცმულ სათვალეებით იხედება....

როგორ აიშვირა ცხვირი მათ რო შეხედა... ისინი კი არ ფიქრობენ თუ რა უსიამოვნებას აყენებენ „წმინდა სიზოკადრებას“..

— ერასტიას რო საქმე მოუვიდა, კაცო, დღეს... დღეა ი რეიცის რკინა ხელზე და ორი თითი ჯიქასავით მიაფშვნა...

— ამა, მერე რა მწარეა ის ოხერი დაბეჭილი ხორცი.

— დაბეჭილი კი არა სულ მოტეხილია ორი თითი.

ამგვარ ლაპარაკში არიან ისინი გართული, დაბლიდან-კი მხიარული ხარხარი და სიმღერა მოისმის.

По улицѣ ходи-ла
Боль-шая кро ко-ди-ла.
Тра-ла...

მოისმის ქალის ხმა...

— ამა, ჰე ვინ უფრო დიდხანს გადვიხარხარებთ ჰე...

ხა ხა ხა—და ხარხარობენ ზღვის ნაპირზე...

— ეხ, ჩემო ძმაო, ცხოვრება მაგათია... და. . ჩაილაპარაკა ერთმა მუშამ ადგა და წასვლა დაამპირა, მას სხვებიც აყენენ და ყველანი გავიდნენ...

— შეიძლება დაკსხდეთ ამ სკამზე?— შეეკითხება ორი ქალიშვილი...

— დ ბრძანდით...

— მშვენიერი საღამოა დღეს...

— არა უშავს რა...

— რათ სწევთ ამდენს თუთუნს, ჩვენ აქ რამდენიმეჯერ გავიარეთ და თქვენ სულ თუ-ენუნსა სწევთ, არ გაწყენთ?..

— თამბაქო... ჰმ... თამბაქო წამალია... მელანქოლიის... მშვენიერი თუთუნია... თქვენ მართლა გგონიათ. რომ თუთუნი მავნებელია?..

— რასაკვირველია...

— ნიუტონის კანონი თქვენ იცით...

ქალები გაშტერებული მომჩერებიან... უცბათ წამოხტენ და სიცილით გაექანენ... წავიდნენ...

— ლურაკ!.. მოისმის მათი ხმა და სიცილი...

— ეეე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგი ნიკოლოზის ძე ვორონოვი

მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობი, ზუბალ-ზვილის სახ. სახლის რუსული წრის რეჟისორი, ამ შემოდგომიდან თბილისში სასცენო სტუდიას ავფუძნებს. მეცადინეობა რუსულად და ქართულად.

ჰუზეირ ბეგ ჰაჯიბეგოვი

თათრთა დრამატურგი, ავტორი „**არშინ მალ ალანი**“-სა და სხვ ოპერეტებისა. **დაწერილი აქვს ათამდე დრამატიულ-მუ-**

სიკალური ნაწარმოები, ზოგიერთი მათგანი სხვა ენებზეც გადითარგმნა ,ქართულად გადითარგმნა ,არშინ მალ ალანი' სთარგმნა ვანო გიგოშვილმა. მისს პიესებს დიდი გასავალი აქვს, ნამეტნავად მდებიო ხალხში. „არშინ მალ ალანი“ ქართულად თარგმნილად და სომხურად მრავალჯერ წარმოადგინ. მისი სამუსიკო ნაწარმოებნია, ზემორე ხსენებულ არშინ მალ ალანის“ გარდა: „ასლი და ქერამი“, „ლეილა ვა მეჯნუნი“, „ოლომსუნ ბულსუნ“, შაბასაიდა ხურშიდ და ხსვ.

ეი, ახლაკი დავწინაურდი!!!

ვოდევილი ერთ მოქმედებად

მ ო მ ქ მ ე დ ნ ი:

სოლომონ მონაძე, უმცროსი მოხელე 35 წ.
ტასიკო, ამისი ცოლი 23 წ.
მოხელეთა უფროსი, სამოქ. გენ. ჩინით 50წ.
ალექსანდრე ნაზიძე, ახალგაზდა მოხდენილი. ყმაწვილი, სცხოვრობს თავისუფალ შემოსავალით 28 წ.
მარფუშა, რუსი დედაკაცი, მზარეული მონაძის
ვასილი, მარფუშას ნათლიმამა, უსაქმოდ მოხეტიალე.

სცენა: შუათანა ოთახი, საშუალოდ მოწყობილი. პირდაპირ და მარცხნივ კარები მარჯვნივ ფანჯარა; იქვე საბწერლო მაგიდა, თავის მოწყობილობით, მარცხნივ სავარძელი, წინ რგვალი მაგიდა. პირდაპირ რამდენიმე ჩალის სკამი საწერ მაგიდაზე პორთფელი ქაღალდებით. დილაა, ფარდის ახდისას მარცხნივ კარიდან ხმაურობა მოისმის.

ტასიკოს ხმა (გარედან) **არ შეიძლება!**

სოლომ. ხმა. ტასიკო, გენაცვა! **რა არის** ლმერთმანი

ტასიკოს ხმა. **არ** შეიძლება მეთქი! (გამოვარდება დიდის თეთრ კაბოტში. **უკან** მასდევს სოდომონი **სამსახურში** წასასვლელად კამზადებული)

I

სოლომონი და **ტასიკო.**

სოლომ. რა ცეცხლი ხარ, ტასიკო?

ტას. ბევრს ნუ ლაპარაკობ! წადი თორემ, თუ დაგიგვიანდა, გამოგაპანჩურებენ!

სოლ. დიახ, დიახ, მე ვერავინ გამომაპანჩურებს. (ულვაშებზე ხელს კაისვამს)

ტას, მითომ **რატომ?** იქნება **შენი** ბრწყინვალე აპელატებისა შეეშინდეთ? **შენ**ისთანა **რვა** თუშნიანი **მ**ოხელის **გ**ამ**ოპ**ანჩ**ურ**ება **ა**რა **მ**გონია **ძ**ნელი **ი**ყვეს!

სოლ. კიდეც ეგ **ა**რის, **რ**ომ **პ**ატარა **მ**ოხელე ვარ **დ**ა **ჩ**ვენი **ა**ხალი **უ**ფროსი... **გ**ენერალი **ძ**აან **კ**არგ **თ**ვალზე **მ**იყურებს...

ტას. **გ**ანა **ი**სეთი **რ**ა **დ**ა**ი**მ**ს**ახურე **ც**ი**ფ**რ**ე**ბ**ის **წ**ერ**ი**თ?

სოლ. **უ**კ**ა**ცრ**ა**ვ**ა**დ **ქ**ალ**ბ**ატ**ონ**ო! **კ**აცს

ოლონდ ენა უვარგოდეს, თორემ საქმეს მაინც და მაინც არც თუ ეგრე უცქერით. (მაუსმდგომდება) გუშინ ერთი საქმე შევატყობინე გენერალს და ისე იამა, რომ თავზე ხელი გადამისვა: ყოჩაღ სოლომონ მიხეილიჩო! გესმის? „მიხეილიჩო,“ ჩემზე უფროსებს გვარებით იხსენიებს.. მე-კი (აბურვა)—მიხეილიჩო!

ტას. ისეთი რა საქმე იყო, რომ აგრე გაუბერიხარ?

სოლ. (ადტანგებით) გარდა ამისა.. მითხრა.. ყოველთვის „უდაკლდოთ“ შემოდი ხოლმეო. მაშ! შენ თუ ეგრე ყურმახვილად მოიქცევი... მალე დაგაწინაურებ და კარგ ჯამაგირზე წარგადგენო... (ხელებს აფშვნეტს, კბილდის და კბილდის) თუ გავბედვინე და აქაც მოვიპატიჟე, აბა მაშინ გაიჩარება საქმე...

ტას. (დატანგვით) იმედი გქონდეს რომ გენერალი აქ გეწვევა.

სოლ. ეგრე გგონია!—ვიდა!აც უქიბ რდა... ისეთი გრძნობით მელაპარაკებოდა.. საპირაო ჩემი ხელ ქვეკითების ოჯახური ცხოვრება გავიცნ ო და უწინ შენთან მოვალო! (დანიჯ შემოურდი ადგება) მაშ! ვინ იცის იქნებ დღესვე მობრძანდეს!

ტას. რამ გადაგრია?

სოლ. გადამრია კი არა... რომ იცოდე რა პატივისცემელია შენისთანა ლამაზი ქალებისა, ჩემო ტასიკო! ერთი სიტყვით, რაც გინდა ს ხოვო თავის დღეში უარს არ გეტყვის. და განა გაუძლებს შენს თვალებს?

ტას. დიახ, დიახ. არა დამშლიარა, რო გენერალი პირველად შენ გეწვიოს!

სოლ. აი, აღდგომა და ბვალაო! მე ხომ გეუბნები! მხოლოდ ღმერთი არ გაგიწყრეს და იმას ანაკ არ დაიწყო ტუტუცური ფხუკანობა.

ტას. შენ ნუ გეშინიან! ეგ მე ვიცი ვ ს როგორ მეეექცევი. ეხლა კი წადი თორემ დაგიგვიანდება.

სოლ. ისე როგორ წავიდე, მაკოცნინე მაინც!

ტას. არც ეგ გინდა, თორემ ნერვები გეშლება და ციფრებ ს ყველარ დასწერ.. ციფრების მანქანა მოგეშლება და კამბეჩები მღვდელებთ მოგჩენენება.

სოლ. მართლა, კინაღამ დამავიწყდა?!

ტას. რა, ციფრები?

სოლ. ! წორედ ციფრები. (მაგ მაგიდასთან, კბილსწვეს ეჯრეს, ამოიდებს ქაღალდებს, აწყობს ჰორიზონტალურ)

ტას. აკი გითხარი! შენ გარდა ციფრებისა, სხვა არაფერზე უნდა იფიქრო. მართლა, ყმაწვილო, სადლათ რა მოვამზადებინო?

სოლ რა ვიცი? მე რა მზარეული ვარ? ეგ შენი საქმეა

ტას. როგორ ი თ ჩემი საქმეა! თუ შენა არა ხარ—არც მე ვარ მზარეული

სოლ. აი, ეხლა კი დ იწყო! რაც გინდა მოამზადებინე! (იქით) უნდა ვეფერო, თორემ გაფუტკიანდება!

ტას. იქნება ღოლო მოგიხარშო შესჭამ?

სოლ. შევჭამ!

ტას. თხლე რომ მოგიმზადო?

სოლომ. შევჭამ!

ტას. შვინდის შეჭამანდი რომ მოგიმზადო?

სოლ. შევჭამ!

ტას. მახოხი?

სოლ. შევჭამ!

ტას. (კბჯაგრებ-ო) კარგი! მაშ ბაყაყებს შეგიწვავ?

სოლ. იმასაც შევჭამ! (ტასიკო კბილებული შეუურბს სოდამონი იტინის) ჰა, ეხლა რაღას იტყვი?

ტას. იმას ვეტყვი, ჩემო გმირო, რომ შენ შენი საკუთარი არც გემოვნება გაქვს და არც სხვა რამ... მარტო ციფრები, აი რაზედ ფიქრობ დღე და ღამ!

სოლ. ციფრები რომ არ იყვეს, ჩემო შავთვალა ვერ-ც პურს შევჭამდით... (სასას სი ნჯაგს) ეხლა-კი წასვლის დროა. მაშ კარგი!. დღეს ისე მისტეგრეგ, რომ არც კი მაკოცნინე!

ტას. არა გიშავსრა, სამაგიეროთ ციფრებში გაერთობი!

სოლ. ნახვამდის, ჩემო ლამაზო, ჩემო დოლათო, ჩემო დამაწინაურებელო! (კ ალის)

ტას. (მარტო) აი, ქმარიც ასეთი უნდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიგებს უფროსი თუ გვეწვია, კარგათ მოექეცი არ გაუფხუკიანდეო... შენ თვალებს ვერ გაუძლებსო! ღმერთო ჩემო! რა დღეში ჩავარდი. (კაიდის) რა უნდა უთხრა ასეთ ქმარს.. ჩემი დედამამა მარიგებდა: ცოლი ქმრის მორჩილი უნდა იყვეს და ყველაფერში თან აჰყვესო... ქმრის ბრძანება ყოველთვის უნდა შეასრულოვო. (გამოიყვანს) შეასრულეთ და მეც შევასრულებ: ვნახოთ ვინ ამოიკრავს ცხვირში. შენ გინდა ჩემი თვალებით დაწინაურდე და არა საკუთარი მეცადინეობით? ვერა, ბატონო სოლომან! ჩემი თვალები მე ბებრუხანა უფროსებისთვის არა მაქვს. (კაიდის) კაკარდოსანი ქმარი! აი ჩემი მშობლების იდეალი სულ ამას ჩამჩიჩინებდნენ; ის კი არ იცოდნენ იმ უბედურებმა, რომ ეს კაცუნები თავიანთ ცოლებს თითონვე მიერეკებიან უფსკრულისკენ... ეჰ, ქმარა! ჩემი თვალები... დეე მას მოხმარდეს ვისაც ვუყვარვარ და ვინც მიყვარს.. ეხლა კი მართლა და შვინდის შეწუპამდი მოუმზადო ჩემ ვაჟბატონ...ს თუ მართლა ეწვია თავის უფროსი,.. გულის ჩაიკოკლოზინავებენ... (უძახის) მარფუშა, მარფუშა! (შემოდის მარფუშა, მეჯვეები ჭუჭყიანი წინსაფარი, თმები აწეწილი, ტოტათი ნასვამია სტდადგას არ შეამჩნიონ, ენას მეჯმაღე აწმატენენ)

II

ტასიკო და **მარფუშა.**

მარფ. რას მიბრძანებ ბატონო.

ტას. ბაზარში იყავი?

მარფ. არა გხლებივართ... გუშინდელი ხორცი დარჩა ორ გრივნქამდე, ვამბობდი (თან ტოტა ენა ებმის) იმით იოლას წავალთ მეთქი

ტას. (აშტერდება) მეტიც არ უნდა. შენ აინც წადი ბაზარში... გამმარი შვინდი იყიდე და შვინდის შეპამანები გააკეთე

მარფ. (კაკვირვებული) მე მაგნაირი საქმელი ჯერ არსად გამიკეთებია, არც ჩვენში ვაკეთებთ.

ტას. შენ თუ არ გაგიკეთებია, მე გასწავლი.

მარფ. ბატონი ბრძანდებით! (წასვლას ბირებს, ტოტა წაბრბიცდება)

ტას. (უფურებს) ეგ რა დაგმართვია? კიდევ გადაჰკარი? მერე ესე ადრიანათ!

მარფ. რათა სცოდავთ ქალბატონო! ერთი წვეთიც არ გადამიკრავს.

ტას. როგორ არ გადაგიკრავს, რომ ფეხებზე ძლიასა დგებარ?

მარფ. ღმერთს გეფიცებით ქალბატონო! (წინ უნდა წაგდეს ტოტას წაიბრბიცებს)

ტას. ტყვილად რათ ფიცულობ ღმერთს, ვერ კინალამ წაიქეცი. რასაკვირველია. ბატონი მოვა თუ არა, მაშინთვე ვეტყვი, და გითხოვოს მეტის მოთმენა აღარ შემიძლიან (უნდა გაბრუნდეს, მარფუშა მიაჯრდება მუხლებში ჩაუჯარდება)

მარფ. შენი ჭირივე ქალბატონო, ბატონს ნურაფერს ეტყვით. ვფიცავ წმიდა ნიკოლოოზს და პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ დილაობით აღარ გადავკრავ!..

ტას. (სიცილით) ადექ კარგი! (აუნებს) არა, ასე ხელათ სად გამოითრობი ხოლმე შე საძაგელო!.

მარ. (ტრემდება ერეკა წინ სასფარით)აწმენდს) ეჰ, ქალბატონო. ჯავრისაგან, დარდისაგან... შევეჭვივე, და ველარ ვითმენ... ჯერ ისევ ვიწვეკი; რომ ჩემი ნათლიმამა თავს წამომადგა. კისერი მოსტყდეს იმას. (იქით) ქალბატონმა რომ იცოდეს, რო ვასაა სამზარეულოში მყავს დამალული ჰოდა თან პატარა ბოთლით არაყი მოიტანა... ჩემო ნათლიდედ... დღეს რაღაც დარდიანათ ვარ, წუხელის ცუდი სიზმარი ვნახეო და მოღი თითო ჭიქით გადავკრათ, მერმე თუ გინდ, ეშმაკებსაც წაუღიათ ჩემი სულიო!. მეც უარი ვეღარ უთხარი, შით, უმეტეს, რომ მეც პირნერწყვი მიმივიდა!...

ტას. (კაკვირვებით) ვინ ნათლიმამა?.. შენ ხომ არ გამოგელევა ნათლიმამები?!

მარ. ჩვენი გუბერნიიდან გახლავთ ქალბატონო. ჩვენ და იმათ სოფელშუა ბევრი იყოსანი ასორმოცდა ათი ვერსი... მეტი არ იქნება... სკოლეა მაქვს შენთანო აკი მოგახსენებ ჯერ ისევ ლოგინში ვიწვეკი, რომ მოვიდა...

ტას. ძალიან მახლობელია შენმა ზზემა! ვიცი რა ნათლიმამაც იქნება.. კიდეც იმიტომ აგწეწია ეგ თმები..

მარ. (ისწორებს თმებს) ცუდი არა იფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქროთ რა ქალბატონო! ეს ისე ცოტა წავი ბღლაძუნეთ....

ტას. (შეტევით) ერთი სიტყვით, გიმეორებ, მარფუშა, თუ კიდევ დამთვრალხარ... ან კიდევ გიბღლაძუნია ვისთანმე მაშინვე ვეტყვი ბატონს და დავათხოვნიან შენს თავს...

მარფ. მაპატიეთ ქალბატონო! ამას იქით აღარავისთან ვიბღლაძუნებ და არც დილობით გადავკრავ იმ წყეულ არაყს.

ტას. ამა გასწი და რაც გითხარი იყიდე... მეც მალე გამოვალ და გიჩვენებ როგორ უნდა მოხარშოთ. (შედის საწოდ ოთახში, მარფუშა წავა, მივა კარებთან, ისევ ბრუნდება)

მარფ. (მარტო) ეგ არის! ნუღარ დალევო? ნურც ვისთანმე იბღლაძუნებო .. თითქოს მეც ადამიანი არა ვარ... თითონ ხომ ყველაფერს სჩადიან... ეს არაფერი... ნურას უკაცრავად, ქალბატონო, თუ ვიბღლაძუნებ და გადავკრავ კიდეც... შენ გინდა ჩემი ვასია არ დადიოდეს... ვერ მოგართვი... მეეზოვეს ჩაის გროშას გაუჩენ და ღამღამ მივიღებ, თუ გინდა რომ დილობით არ იაროს! ჰხედავ ამ გაწკეპილ კუნტრუშას: ნურც ნურავის აქ მიიღებ, ნურც სადმე წახვალო? განა მეკი ხე ვარ? ადამიანი არა ვარ სისხლი არა მაქვს?.. თითონ კარგად ეკურკურება იმ გაწკეპილ საშურკას! ვინი ცის ეზლაც ოთახში ჰყვანდეს... ჰაი, თუ მოგასწარით ბღლაძუნზე... მაშინ ესე დაგიჭერ ხელში... მე როგორც ვატყობ ის საშურკა უფრო უყვარს, ვიდრე ქმარი... არაბაბას იქით უნდა უთვილთვალო და როგორმე დავიჭირო, (მიდის საწოდ ოთახთან, იჭვრიტება, უტებ თავი წასძღვეს, წინ, ეჯახება კარებს, კარი გაიდება და თითონ წაიტეკვა გამოჩნდება ტასიკო სხვა კაბით)

ა. ბაქრაძე

(დასასრული იქნება)

ლექსი ბალმონტისა

(თავისუფალი თარგმანი)

ნუ მიღვიძებ წარსულ გრძნობას, გულს მიწუხებს მოგონება
შუა ღამე სიამეს მგვრის—ბას ვაკუთვნე სულის ბნელება;
დღის სინათლეს გავექეცი, დღის სინათლე მეზიზღება.
ჭაბუკობის ნეტარება მეც ვიგემე, მეც კი მწამდა,
მგზრამ ახლა დავივიწყე, როდის ან და ვინ მიყვარდა?!
ვის ვაკუთვნე სულის ლტოლვა, ან ტრფობით ვინ გამომზარდა?!
არ ვიცი, თუ რისთვის, რისთვის აღარა სძგერს გული მკერდი!..
ამას კი ვგრძნობ, ჭაბუკობა მალე გაჭრა, მეც დავბერდი,,.
აღარ ძალმიძს ისე ლხენა, როგორც წინად გრძნობით ვმღერდი...
... სწვიმს უწყალოდ, და ქარიც კი ეხეთქება ჩემსა სარკმელს,
ტუჩზე ღიმილს აღარა მგვრის, ყოველივე გრძნობს განსაცდელს.
ბაგე ჩემი მდუმარეა და გულში ჰკლავს სიტყვას სათქმელს.
ოჰ!.. რაღად ხარ ისევ ჩემთან განდევნილო მეგობარო?!.
ხელს რად მიქნევ, თან რად მიწვევ, შე აჩრდილის შესადარო.
—იქნებ გინდა, ჩემი გრძნობა რომ ისევ შენ ჩაგაბარო?!.—
დრო წასული ეგ ალერსი აღარ მომწონს, აღარ მინდა;
საფლავთ შორის ცხოვრება მსურს, სინათლეზედ ყოფნა მწყინდა;
დე დამეხშოს გრძნობის კარი... ჰა.. კვნესაც კი ცად აფრინდა,
ვერრას ვხედავ. . ამ ჯურღმულში მხედველობა მსწრაფად ჰქრება.
მაჯის ცემაც შემწყვეტია, ნაზი ღაწვიც ნელ ნელ სჭკნება...
მაგრამ მაინც აქ ჩირჩევნის, ნუ მაღვიძებ. . მეძინება ..

მის ხერხეულიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

ჩემი სული ეტრატია, სად ჰხატია საქართველო;
გული ტრფობის ვენახია მის საყვარელ შვილთ სართველო.

—

ცხოვრება და სიყვარული აქ მარხია საიდუმლო...
ვმღერი მისთვის... მე არ ძალ-მიძს—შეყვარებულს, —
რომ ვიდუმლო.

—

აქ სარკეა! სად სჩანს მთელი: საზღაპრო და საამბობლი?
საუნჯე და ნეტარება! — ქართველთაა ეს სამშობლო.

—

ორბთა ბუდე! სიცოცხლისა ტურფა მხარე, მშვენიერი,
სადაც მარად — გლოვის დროსაც—ისმის „მრავალჟამიერი“

—

ჩემ შვენებას, სათაყვანოს, სამლოცველოს თუ ვინმე
ჰმტროს, —
ოლონდაც მას ნურას ავნებს, უწინარეს მე გამგმიროს!...

ს. ერთაწმინდელი

წერილები მეგობართან

ქართველ მუსულმანების შესახებ

ბათომის ოლქი, სადაც სცხოვრობენ ჩვენი თანამამძმე ქართველი მუსულმანები, ახლათ შემოერთებული იყო რუსეთთან, და ქართველ მუსულმანთა საპატიო პირები დაესწრენ ბათომის საქრისტიანო ტაძარში წირვას, რომელიც შესრულებულ იქმნა სლავიანურ ენაზე: ქართველ მუსულმანებს არ ეკანონიკათ ეს გარემოება და სამართლიანად საყვედურით შენიშნეს ქართველ ქრისტიანებს:

— ქართველ მუსულმანებს გვიჩვენით, რომ ძველი ქრისტიანული სჯული დავკარგეთ .. მაგრამ სჯული თქვენ დაგიკარგავთ და არა ჩვენ. ჩვენ მტკიცედ ვართ ამ სჯულზე, რომელიც გვაქვს. სჯული თქვენ დაგიკარგავთ, რომ ქართული წირვა-ლოცვა მოგისპიათ და რუსულისთვის ყური შეგიჩვეიათ. სადაა ქართული ლოცვა? სადაა ქართული გალობა?! ჩვენ შევინახეთ ჩვენი ენა, ჩვენი ტანთსაცმელი, ჩვენი ადათი...

ამ ამბავს გადმოგვცემს გიორგი წერეთელი, დიახ სანდო მწერალი. მართლაც, ეს რა ღვთის წყრომაა, —რომ ბათომი ქართველი მღვდელმთავრების ხელში იყო და არის ქართულად ღვთისმსახურება კი ვერ ხერხდება ამ ქალაქში. მცხოვრებთა და ხმოსანთა უმეტესობა ქართველებია, და 20 წლის წინ დაწყებული ქართული ტაძარი კი ვერ დაუმთავრებიათ დიდი სირცხვილია ეს აქაური ქართველ ბისათვის, რომელთ შორის მდიდრებიც მოიპოვებიან!!

განსვენებულ გრ. ეოლსკის მეცადინეობით ქალაქმა დაუთმო ქართულ ეკლესიის საუცხოო ადგილი ქალაქის შუაგულში დაწყეს ტაძრ ს შენება, აიყვანეს კედლები სახურავამდის... და წერტილი დაუსვეს. შენება შეაჩერეს... და გამოიცქირება ობლად ქართული ნახევრად დაუმთავრებელი ტაძარი...

ეს გარემოება მოწმობს-ჩვენს უბედურებას, ჩვენს გადაგვარების გზაზე დადგომას.

ქართველ ქრისტიანებს ქართული საყდარი არ აქვთ ბათომში... ისინი ვერ ისმენენ წირვა-ლოცვას ქართულ ენაზე... რა გასაკვირალია, რომ ჩვენმა თანამამძმე ქართველ მუსულმანებმა სამართლიანად გვიკიცინონ ჩვენ მიერ სჯულის დაკარგვა და გულ-გრილობა სარწმუნოებისადმი. ცნობილმა ხოშტარიამ ექვსასი თუმანი შესწირა ბათომის ქართულ ტაძრის დასამთავრებლად... ეგებ ახლა გვ შველოს რამე!

შენი ჩაქუჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნების მოკლე ისტორია

იხ. „თ. და ც." № 31

ურარტალანი.

თვით სირიაში ფინიკიელებს ბაძავდნენ. მათი მეზობლები—ებრაელები — ესთეტიკურ გრძნობათ არ ეძლეოდნენ. ეგვიპტესა და ასურეთთან დამოკიდებულებამ ებრაელებში ხელოვნების სიყვარული კი არ გამოიწვია, არამედ დაიფრთხო და შიში მოჰგვარა მოსეს კანონი დიდის სიცხადით უარყოფდა ცხოველ არსებათა გამოხატვას. მართალია იეროვამ უბრძანა, რომ აღთქმის კიდობანზე ორი ოქროს ქერუბიმი მოეთავსებინათ და ეს ქერუბიმებიც ასირიულ ძეგლებზე გამოსახულ ფრთოსან ცხოველთაგან იყო გადმოღებული, მაგრამ თვით ეს გამონაკლიც განამტკიცებდა წესს და პალესტინის ებრაელებიც შეურყეველად იცავდნენ მას. მათი ქანდაკება მეტად ღარიბულ ჩუქურთმით უნდა დაკმაყოფილებულიყო და ხეროთმოძღვრებაში ხომ არავითარი თავისთავადობა არ გამოიჩინეს. როდესაც ქრისტეს შობამდე მეთერთმეტე საუკუნეში სოლომონ ბრძენმა მოისურვა იერუსალათვის დიდებული ტაძარი აეგო, ტიროსის მეფეს ხირამს მომართა. ფინიკიელებმა გამოუგზავნეს მხატვრები, მუშები, მასალა. ეს ტაძარი, რომელიც ბევრ-გზის იყო დ-ნგრეული და კვლავ აღდგენილი, ქრისტეს შობიდან პირველ საუკუნეში, იერუსალიმის დაპყრობის დროს საბოლოოთ დანგრია ტიტუსმა. მაინცა და მაინც დაბადების აღწერილობით და დარჩენილ მიწაში გაყვანილ მაღაროებით შეძლება გამორკვეული იქნეს სიგრძე ტაძრისა და მისი აგებულება. ხოლო რაც შეეხება ებრაელთა მეფეების სასაფლაოს, რომელიც როლსიმ აღმოაჩინა, ეგ სასაფლაები უნდა ეკუთვნოდნენ უფრო მახლობელ ეპოქას.

სპარსეთი.

დანარჩენ მიმბაძველ ხალხთა შორის აღსანიშნავნი არიან ტიგროსისა და ევფრატის აღმოსავლეთით მცხოვრებელნი, არიელ მოდგმისა—მიდიელები და სპარსები. თავდაპირველად ისინი ნინევილებს ჰყავდათ ლაბარეული ბილნი, მაგრამ შემდეგში გადაიგდეს მონობის უღელი, პირველ ხანად მიდიელებს ჰქონდათ უპირატესობა და შემდეგ კი ქრისტეს შობამდე VI საუკუნეში სპარსელებმა მოიცეს ძლა, დაიპყრეს წინა აზია. ეგვიპტე და ფინიკიელნენ თვით ს ბერძნეთს ც. უცხოური გავლენა აჩნევია პოოკარ—რუდის ველზე კიროსის და მ. ს მემკვიდრეთა მიერ აგებულ (VI საუკ. ქ. შ.—მდე) ძეგლებს: ზოგნი ლიკიის შენობათ გვაგონებენ და ზოგნიც ბერძნულსა. უმთავრესი მათგანი კამბიზის და მადანის სასაფლაო, კიროსის დედა-მამისა და თვით კიროსის სასახლე. შემდეგ საუკუნეში ხატაბერ ქალაქად პერსეპოლოსი შეიქმნა და სტილიც შეიცვალა სპარსელებმა ეგვიპტე დაიპყრეს და ეგვიპტური ხეროთმოძღვრება გადმოიღეს, თანამცს შეუერიეს მცირე აზიის სტილი და განსაკუთრებით იონიის ბერძნებისა. პერსეპოლისის სასახლეში ჩვენ ვხედავთ კარების ეგვიპტურ დგეარგვენებს და აგრეთვე სვეტების ეგვიპტურ ჩუქურთმა, მხოლოდ იმავე დროს ამავ სვეტების ნაკვთიერება ბერძნულ-იონიურია. ეს უცხოური გავლენა ეთზვება ადგილობრივს, მაგალითად აგურის ხმარებაში განსაკუთრებით გუმბათის გამოყვანაში. სპარსული ქანდაკება ხშირად ასურულს გვაგონებს, მაგრამ წვრილმანთა ნაკვთიერება (მოდელირობა) არც ისე გაზვიადებულია. დარიუსის სასალის ხელოვნურად აღდგენილ მოისრეთა ფრიზები (ლუვრისა მუზეუმშია) გვიმტკიცებს, რომ სპარსელებმაც ასურელებსავით მინაქრიან აგურების ხმარება იცოდნენ მოზაიკის (სოფოს ზკენჭის) გამოსაყვანად. შემდეგში, ქრისტიანულ ეპოქის პირველ საუკუნოებში სპარსეთმა თავის დამოუკიდებლობა და სიძლიერე სასანიდთა მეთაურობით აღდგინა (III საუკ. ქრ. შ.-დან). დიარბეკერის და კტეზიფონის ნანგრევები სასანიდთა ხელოვნებას გვიჩვენებს. აქ ნახეს გუმბათი, ცოტა წამწვეტილი და ნალის მსგავსი თაღი, რომელიც შემდეგ მეზობელ ქვეყნებშიც იხმარებოდა. თუმცა ამ ეპოქის ხელოვნება უძველესად ადგილობრივია, *) მაინც ბერძნულ რომაული გავლენა ატყვია. ეს შერევა სტილისა, უცხოურის და ადგილობრივის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო ეშინოდა დარჩენილ აუარებელ ქალაქებთან, სკამებზე გამოკვეთილთ, რომელნიც გამოახვევ მეფეთა დიდებულ ღვაწლთ, მათს მბრძოლისა და ნადირობას.

(დასასრული პირველი თავისა)

---

*) ვინ იცის შეიძლება ეს „უძველესი, ადგილ-ბრივი ხელოვნების“ ნაშთი, რომელიც იპოვეს მცირე ახიაში, ეკუთვნოდეს იმ ხალხს, რომელთაც ხეტებსა და ნაირებს უწოდებდნენ და რომელთაც ჩვენი ისტორია ქართველთ წინაპრებთან, მონათესავე ხალხად სთვლის. ამ ხელოვნებამ იქონია გავლენა ადმოსავლეთის ხელოვნებაზე და შემდეგში აღმოსავლეთმა ჩვენსაე. ე. ი. ჩვენივე ხვენ დაგვიბრუნდა. მაგ წამწვეტილი გუმბათი და ნალის მსგავსი თაღი შემდეგში ჩვენშიც ძალიან გაზხარებული იყო, აგრეევ სოფიო კენჭი და მინანქრიანი ავაზრებიც, მაგრამ ყოველივე ამის განმარტება ჯერ კიდევ მომავალ პირნუთვნელ ქველევართ საქმეა,

შ. დ.

დ. ხაშური. ხაშურის ქართ. დრამატ წრეშ, თავის სახსოვნოდ ბიდში კამარის თორ-ად მინაარსიანი სადაზ-სეირნობით. ამ სადამსახოვის საკანკანად მოწვეული იყო მსახიობი ი. ზარდალიშვილი, რომელმაც დიეგრტალმენტში მიიღო მონაწილეობა და თავისის მოხდენილის ლექსებისა და სტენების ხელოვნურად წაკითხვით—სახოგადოება ალტეტაბში მოიეყენა. წარმოადგინეს 1 მოქ. კომედია „მოუფადენელი შემოხვეევა“. ეს კომედია ამდენად სუსტია, ამდენად უშინაარსო, რომ თვით დასეფდენებულ მსახიობებსაც-კი კეთილ-ებოდთ მისი სტენაზე ანსახიერება. მაგრამ, ამის და მიუხედავად ხაშურის ნიჭიერმა სტენის მოუყარეებმა შესძლეს ბიესის რეალისად დადგმა და ასე თუ ისე—მაეურებელს თითქმის არც კი შეაშინე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოვრილი აგბეგი

სილნალში მარიამობისთვის 14 სცენის მოყვარეთა წრემ ნ. გვარაძის მონაწილეობით და რეჟისორობით ახალ კლუბის დარბაზში წარმოადგინა ა. ცაგარელის 3 მოქ. კომ. „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“. პიესამ კარგად ჩაიარა ალსანიშნავია ს. შვილიაშვილის თამაში (გიტუა) კარგები იყვნენ: ს. გიმელფარი, მ. ტაკვაძისა. ა. მოსულიშვ ლისა, ვ. რუხაძე, ხელაშვილი, ხატის-კაცი, კ. ძიძაძე. ბ-ნი გვარაძე ამ ღამეს მოისუსტებდა, თუმცა ეს როლი (ავეტიქა) ბევრჯელ უნაკლულოთაც ჩაუტარებია. საზოგადოებამ ბლომად დაეს წრო და ფრიად ნასიამოვნები დაიშალა ღამის 2 საათზე.

6 მარიამობისთვეს ახალ კლუბის დარბაზში გაიმართა ნ. გვარაძის ბენეფეფისი. წარმოდგენილი იყო „დღენი ჩვენი ცხ-ვრებისა“. საზოგადოება ბლომად დაეს წრო.

„ღალატი“-ს ახალი გეგმით დადგმა განაცხადა ბ-ნ ალ. ახმეტელს. შესაფერ დეკორაციებს ესკიზები უკვე ინატებენ. ალ. ახმეტელის აზრით ის გეგმა, რომელნიც სდგანენ „ღალატს“, სრულიად არ შეეფერება ამ პიესას. ეგეგმ მისი ბევრს ახალნა და საგულისხმოს გვირდება.

მეუბარი და ვ. ნახუჩიშვილი მძიმედ დაავადმყოფდ.

ბ. ზდანოვიჩი განკურნების გზაზეა მისი ავადმყოფობის შესახებ „ჩვ მეგობრის“ რედაქციას მრავალი წერილი მიზდის.

ს. საბარეჯლოვი კვირას 28/VIII ზ. საფაროვის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება „ახალნელი სიყვარული“ და „მე მოვავდი“, იქვე მეორეს დღეს— ხურამის ციხე“.

ბ. ს. დემეფრაკეძ ბაღდადის სამკითხველოს თავისი ხარჯით გაუწერა „თეატრი და ცხოვრება“.

ჟურნალის სასარგებლოდ

შემოწირულება *)

ქ ლბატონო რედაქტორო! დიდათ სასიამოვნოთ დამირჩა თქვენს პატივცემულ ჟურნალში ეროთვსებული ჟურნალის ფონდისთვის შეწირულების გაცემა ერთგულ სამშობლოს შვილების ყნოთა, რომელთაც მე დიდათ თანაუგრძნობ მათ გულ-კეთილობას და მოგვართმევთ ჩემს წვლილსა სამ მან. ფონდის მოსამატებლადა იმედია ღვთითა ბევრი სხვებით გამოჩთება ობილის გულით შეწირული ქართველებში პატივისცემითა.

ქალ. ბერმი **ვასო აბდალაძე**

*) წერილი უცვლელად იბეჭდება. რედ.

სასცენო სტუდია

ს. ნ. ვოკრონოვის ხელმძღვანელობით.

მეცადინეობა ქართულ და რუსულ ენებზე. 1, დიქტატ და დიკლამაციაა; 2, ბალეტიკა და გიმნასტიკა; 3, თეატრის ისტორია, 4 ოსეტიკა; 5, პრაქტიკული მეცადინეობა სცენაზე.

ცობათა შეტყობა შეიძლება ოთხშაბათობით და კვირაობით საღ. 6—7 ს. კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში. ტელ. 8—43.

ახალ კლუბი

1 კვირის პროგრ. 28 — აგვ. 4-ენკ.

ოკრაბაბათი— რუსული ოპერეტა

სამშაბათი — სიმფონიური კონც.

ოთხშაბ. ვ. სარაჯშვილის გამოსაგზავარი ბეგ.

ხუთშაბ. —ქართ. წარმ. (უფალ); საზანდარი

პარასკ. — სინემატოგრაფი; მუსიკა.

შაბ. — სიმფონიური კონ.

კვირა—საბავშო სალამო, მუს.სინემატ.

დაბაზუნი: კონცერტებისა სალამ. 9 საათ.. წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8½ სა

სშესასვლელი ფასი ჩვეულებრივია, მხოლოო. სამშაბათს და შაბათს იხდიან: მანდილოსნები და ტუდენტები (ფორმ.) 65 კ. მამაკაცები 1.05 კ.

ხარფუხის საზ. კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 131)

ერთი კვირის პროგრამა 28—აგვ—4 ენკ.

კვირა —

ოკრაბაბათი—

სამშაბათი უკანასკნელი კონცერტი ვანო სარაჯიშვილისა საზანდარი.

ოთხშაბათი —ქართული წარმოდგენა; ბაღში სამხედრო— მუსიკა

ხუთშაბათი—თეთრული ოპერეტა „ალმასუნ შუ ოლსუნ“

პარასკევი-კონცერტი ლიდინა შარაბიძისა და სხ. მონაწილეობით.

შაბათი—კაბარე,

კვირა—კონცერტი გამოჩენილ გარმონისტის ბახმოსი.

წარმოდგენა-კონცერტებზე შესვლა უფასოა

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

დაბეჭდილია „ სტამბა „ხსორაპანი“

дозволено Военной Цензурн